საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4975
27/06/2023

4975-21-2-202306271506

**შპს „საქართველოს მოსავალს“**
**მის:** გამსახურდიას №34
**ელ. ფოსტა:** al.narsia@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4656 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის მიმდებარედ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია კომპანიის საკუთრებაში არსებული ლურჯი მოცვის ბაღის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით. დოკუმენტში მითითებულია, რომ საპროექტო გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული ჩამდინარე წყალი დაერთდება მიმდებარედ (394 მ) შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“-ის ლურჯი მოცვის ბაღების ტერიტორიაზე გათვალისწინებული საპროექტო გამწმენდი ნაგებობიდან გამომავალ მილზე და ჩაშვებული იქნება მდ. უმპიაში. თუმცა, დღეის მდგომარეობით, „ლურჯი მოცვი საქართველოდან“-ის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სააგენტოს მიერ სკრინინგის გადაწყვეტილება გაცემული არ არის. შესაბამისად, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული წყლის მოცულობისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE